დანართი №9

დამტკიცებულია
სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2026 წლის 26 აგვისტოს №1098983 ბრძანებით

რეგიონული სახელმწიფო უნივერსიტეტების ხელშეწყობისა და განვითარების

მიზნობრივი სამეცნიერო კვლევითი საგრანტო კონკურსის

სამეცნიერო მიმართულებების კლასიფიკატორი

1. აგრარული მეცნიერებები

1.1 აგრონომია და მცენარეთა მოვლა – კულტურების პროდუქტიულობის ზრდა; ნიადაგის დამუშავებისა და მოვლის ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება.

1.2 მცენარეთა დაცვა და აგროქიმია – მავნებლებისა და დაავადებების მართვა; სასუქების ეფექტიანი გამოყენება; მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების დანერგვა.

1.3 აგრო-ბიოტექნოლოგია და გენეტიკა – ახალი ჯიშების შექმნა; გენეტიკური რესურსების კვლევა; ბიოტექნოლოგიური მეთოდების გამოყენება.

1.4 მეცხოველეობა და ვეტერინარია – ცხოველთა პროდუქტიულობისა და ჯანმრთელობის გაუმჯობესება; კვების ტექნოლოგიების განვითარება; ვეტერინარული ინოვაციები.

1.5 სურსათის ტექნოლოგიები და უვნებლობა – აგრო-სასურსათო პროდუქტების გადამუშავება; ხარისხისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

1.6 აგროეკოლოგია და მდგრადი სოფლის მეურნეობა – ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება; გარემოს დაცვა და კლიმატურ ცვლილებებთან ადაპტაცია.

1.7 სოფლის მეურნეობის ინოვაციური ტექნოლოგიები – ციფრული აგროტექნოლოგიები; „სმარტ ფერმა“; მონაცემთა ანალიზის გამოყენება აგროსექტორში.

1.8 სხვა

2. პედაგოგიკა

2.1 ზოგადი პედაგოგიკა – განათლებისა და აღზრდის ფუნდამენტური პრინციპებისა და კონცეფციების კვლევა.

2.2 სწავლის თეორია (დიდაქტიკა) – სწავლების მეთოდებისა და საგანმანათლებლო პროცესების კვლევა.

2.3 აღზრდის თეორია – პიროვნების, მორალური ღირებულებებისა და სოციალური ნორმების ფორმირების პროცესების კვლევა.

2.4 პედაგოგიკის ისტორია – პედაგოგიური იდეებისა და საგანმანათლებლო პრაქტიკის განვითარების კვლევა.

2.5 საგანმანათლებლო პროცესის თეორია და პრაქტიკა – სასწავლო პროგრამების ინოვაცია; სწავლებისა და განვითარების შეფასება.

2.6 პედაგოგიური ტექნოლოგიები და ინოვაციები – ციფრული და ჰიბრიდული სწავლების ინსტრუმენტები; თანამედროვე მეთოდოლოგიები.

2.7 მასწავლებელთა პროფესიული განვითარება – სწავლების ხარისხის გაუმჯობესება; ტრენინგები; ლიდერული და სამეწარმეო კომპეტენციების განვითარება.

2.8 ინკლუზიური და სპეციალური განათლება – განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეთა ინტეგრაცია; ადაპტირებული სწავლების მეთოდები.

2.9 აკადემიური შეფასების სისტემები – შეფასების თანამედროვე მეთოდები და ინსტრუმენტები.

2.10 სხვა

3. ტურიზმი

3.1 ტურისტული რესურსებისა და მიმართულებების მართვა – კულტურული, ბუნებრივი და ისტორიული მემკვიდრეობის მდგრადი გამოყენება.

3.2 ტურისტული პროდუქტებისა და სერვისების ინოვაციები – ახალი პროდუქტების განვითარება; მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება.

3.3 ეკოტურიზმი და გარემოს დაცვა – ბუნებრივი რესურსების დაცვა; ეკოლოგიურად მდგრადი პრაქტიკის განვითარება.

3.4 ტურიზმის ეკონომიკური და სოციალური გავლენა – რეგიონული ეკონომიკის განვითარება; ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.

3.5 ტურიზმის მარკეტინგი და ბრენდინგი – რეგიონული ბრენდინგი; ციფრული მარკეტინგი; საერთაშორისო თანამშრომლობა.

3.6 სხვა